



რუსული პრესიდან

# ნაგავისიგია „გაგაგა“ წერს:

## ოსეთმა შეიძლება ავტონომია მიიღოს

შეგარდნადი და ჩიბიროვის შეხვედრის დოკუმენტებში არ აღინიშნებოდა მათი ოფიციალური ტიტულები, თითქოს მოლაპარაკების პროცესში პარტნიორები საგანგებოდ გაუთანაბრდნენ ერთმანეთს.

ამასწინათ, აფხაზეთთან მოლაპარაკების შემდეგ ჩიხში მომწველევამ შევარდნაძემ აიძულა სწავლა ვლადიკავკაზს. ეს ნამდვილად ისტორიული მომენტია, - განაცხადა ჩიბიროვმა. სამხრეთ ოსეთს ეძლევა ალტერნატივა: დარჩეს ამაყი, მაგრამ ღარიბი, ან გაამდიდრდეს საქართველოს ფარგლებში.

საქართველოსაც ძალზედ სჭირდება ცხინვალთან კარგი ურთიერთობა, რადგან კონფლიქტი ხელს უშლის რუსეთთან ვაჭრობას. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა ძალზედ ჩამორჩენილია. მოსახლეობის მასობრივმა გასვლამ რუსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში საგრძნობლად შეამცირა ადგილობრივი მოსახლეობა, რაც საშიშობა მომავლისათვის. ცხინვალელი ექსტრემისტები პოლიტიკოსები იმდენად მტრულად არიან განწყობილნი, რომ ჩიბიროვის და შევარდნაძის ჩასვლა ვლადიკავკაზში შეიძლება გმირობად ჩაითვალოს.

საქართველოს პრეზიდენტმა შევარდნაძემ თბილისში დაბრუნებისას იმპროვიზირებულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მან და ჩიბიროვმა გულისხმობდა და ურთიერთობებით ისაუბრეს, რომ ორივე მხარე მზად არის პრობლემების დასაძლევად, სასარგებლო ნაბიჯების გადასადგმელად.

მან თავი აარიდა საუბრის დეტალების გამოსაშვარებას, თუმცა იგრძნობოდა ოფიციალური თბილისის მხრიდან კარგად მოფიქრებული გეგმა... ვლადიკავკაზში ხელმოწერილი დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ეტაპობრივ მოგვარებას. მხარეებმა მოლაპარაკებს შექმნათ საგანგებო დელეგაციები, რომლებიც უახლოეს დროში დაიწყებენ კონკრეტულ სამუშაოებს ხელმოწერილი მემორანდუმის მიხედვით, სადაც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ხალხის თვითგამორკვევის უფლების პრინციპები. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა - შესაძლებელია, სამხრეთ ოსეთმა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღოს, რომელსაც თავისი პარლამენტი და მმართველობითი სტრუქტურები ეყოლება.

„ნეზავისიგია გაგაგა“ №160

ამას წინათ გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა მოკლე წერილი საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე ადამიანთა ერთი ჯგუფის (ქართულ-ებრაული საზოგადოების გამგეობის, მათ შორის - ჩემი) ხელმოწერით, სადაც იყო მოწოდება ბატონ პროკურორისადმი, რომ დაინტერესებულიყო ბატონ გივი ალაზნისპირელის პუბლიკაციით „ფრთხილად, წინ ებრაელი“ (გაზეთში „ნოე“). ამ მოწოდების ტექსტი მე ტელეფონით წამიკითხა ჩემთვის უაღრესად პატივსაცემმა პიროვნებამ, ხსენებული საზოგადოების აქტიურმა მოღვაწემ ბატონმა გივი ლამბაშიძემ და წინადადება მომცა, გამგეობის სხვა წევრებთან ერთად მეც მომეწერა მასზე ხელი. მე მივეცი თანხმობა, მაგრამ ერთი პირობით, სახელდობრ, შემდეგით:

ვინაიდან მე ვიცნობ ბატონ გივი ალაზნისპირელს, და პატივს ვცემ მის კვლევით მუშაობას, ჩემთვის აუხსენელია ის შექანიზმი, რომელმაც განაპირობა მისი სახელით იმ ტექსტის პუბლიკაცია. ჩემის აზრით, ეს პუბლიკაცია არა მხოლოდ ყოველგვარი სიმართლის საწინააღმდეგოა, არამედ ჩვენი ქვეყნისათვის თავადადამსხმელიც. მე მიმაჩნია, რომ ეს პუბლიკაცია ნაწილია იმ უკვე მრავალწლიანი ოპერაციისა, რომელიც მდგომარეობს საქართველოში ანტისემიტური ჩათვისვის მცდელობაში ან, თუ ეს ვერ მოხერხდა, ანტი-სემიტისმის სიმულაციაში მაინც. ერთ-ერთი ჩვენი დამამტრულად განწყობილი სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოში გამორჩეულია ებრაელთა რბევის ტრადიციით, ცდილობს, ჩვენც ამ ბინძურ პრაქტიკას დაგვაკავშიროს, თუ არა და იმის ილუზია მაინც შექმნას, რომ ეს პრაქტიკა და შესაბამისი განწყობილება არც ჩვენთვის, ქართველებისთვის ყოფილა უცხო. ამიტომ პროკურატურისადმი მიმართვა ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და დასაშვები, თუ პროკურატურას ვთხოვთ, გამოიკვლიოს, ვისმა და რა სპეცსამსახურებმა იმუშავეს, რათა შემოსწავლული პუბლიკაცია „წინ ებრაელი“ მომზადებულიყო. მე ვთხოვ ბატონ გივი ლამბაშიძეს დაემატებინა ტექსტისათვის ამ შინაარსის გამოხატველი ერთი ან რამდენიმე წინადადება და ჩემი გვარი ხელმოწერებისათვის ამის შემდეგ დაერთო. ფიზიკურად ტექსტზე ხელი არ მომიწერია. როგორც ახლა გაირკვა, ჩემი თხოვნა ვერ შესრულდა გამგეობის (ანუ ხელმოწერეთა) ერთი ჯგუფის პროტესტის გამო. მაგრამ ტექსტის ბინტ ჩემი ხელმოწერის დართვით გამოქვეყნდა, რაც არამართლზომიერია. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მოხდა ბატონ გივი ალაზნისპირელის დაპატიმრება - დაპატიმრება სიტყვის გამო, რაც მე ბარბაროსობად მიმაჩნია. ბევრად უკეთესი იქნე-

# ანტისემიტის სიამაღლება საქართველოში

## ბანცხალება პირად თემაზე

ბოტა სიტყვით გაბათილება იმ მართლაცდა ბოროტი პუბლიკაციისა, რომელსაც ვერანაირი უარყოფითი ეპითეტები ვერ ეყოფა.

ვთხოვ ბატონ გენერალურ პროკურორსაც და მკითხველსაც, ჩათვალოს, რომ ჩემი ხელმოწერა შემოსწავლულ დოკუმენტზე არ არის. ამასთანავე ვთხოვ ბატონ გენერალურ პროკურორს თავისი და თავისი კოლეგების შრომა არ დაზოგოს იმის გასარკვევად, თუ ვისგან მოდის ცილისწამებისა და პროვოცირების ის ბინძური კამპანია, რომელიც საქართველოში კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებიდან ბოლოქრობს.

უფლებას ვიტოვებ დამოუკიდებლად ვიძიო, ანალიზის გზით, თუ რა მექანიზმებმა და რა ინტერესმა განაპირობა ეს ანტიებრაული და ანტიქართული პუბლიკაცია.

P.S. მეთოდოლოგიურად რეკომენდებულია, ისეთ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩანს, მისი დამკვეთი და ჩამდენი კი არ ჩანს, კითხვა დასვათ „დანაშაული ვინ მოიგო?“ დასკვნებს არ ვაკეთებ და ჯერჯერობით არც ვცდილობ. მაგრამ გამომხატურება ხსენებულ პუბლიკაციაზე კი მაინტერესებს, მით უმეტეს, თუ ეს გამომხატურება ასე თუ ისე პირადად მეც შემეხება.

საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის ინტერვიუში („საქართველოს რესპუბლიკა“, 13.VIII.96) ნათქვამია, რომ იგი „სულის სიღრმეში ალამფოთა“ დაბეჭდილის „შინაარსმაც და ფორმამაც“ (რაც სავსებით ბუნებრივია). შემდეგ ე.წ. „ლოგიკური სკუპის“ გამოყენებით შემოთავაზებული ერთგვარი განზოგადება (!), რომელიც თქვენს მონამორჩილსაც სწვდება: „საერთოდ, ცილისწამებამ, შუარაცხყოფამ, ადამიანების ღირსების შელახვამ, რაც ასე დამახასიათებელი იყო ძველი პარლამენტის ერთი ნაწილისთვის (იმ პარლამენტში მეც განვლდათ. ხაზი ჩემია ნ.ნ.) ახლა ცალკეული გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა“.

არა თუ რიტორიკაში, გრამატიკის დაწყებით კურსშიც კი წერია, რომ განმარტობადებული ზმნიზუდა „საერთოდ“ მხოლოდ ურთიერთმსგავსი მოვლენების დასაკავშირებლად შეიძლება გამოიყენოს. რა არის ურთიერთმსგავსი ერთის მხრივ, „ნოეს“ უხამს პუბლიკაციასა და მეორეს მხრივ, „ძველი პარლამენტის ერთი ნაწილის“ კრიტიკულ კილოს შორის, რომელშიც „შეურაცხყოფელი“ მხოლოდ ის იყო, რომ თვით ქმედებანი, რომლებშიც კრიტიკოსები მავანთ და მავანთ

ამხილებდნენ, შეურაცხყოფელია იმისთვის, ვინც მათ სჩადის!

კიდევ ერთი ლოგიკური „სკუპი“ (ანუ ულოგიკობა). ყველა ქათამი ორფეხია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველა ორფეხი ქათამია. ყველა ფაშისტი ანტისემიტი იყო (გერმანიაში, სხვაგან არ ვიცი) უარეს შემთხვევაში, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ ყველა ანტისემიტი ფაშისტია? მეფის რუსეთი ანტისემიტიზმის კლასიკური ქვეყანა იყო, კომუნისტური რუსეთიც. ეს სენი ამ დუალისტურ იმპერიას (მოგვხსენებთ, დღეს ერთი კი არა, „ორი რუსეთი“ არსებობს) არც ამჟამად აკლია. მაშ, სად არის გზა, რომლითაც ჩვენი ინტერვიუს ავტორი „ნოედან“ „ფაშისტზე“, ისიც კონკრეტულად „პროვინციულ“ ანუ ქართულ „ფაშისტზე“ გადადის? აი, სათანადო თეზისი, რომელიც ინტერვიუს ციტირებულ ადგილს მოსდევს: „ეტყობა, ნაადრევად შევწვით მასობრივი შეტევა პროვინციული ფაშისტის ფესვების ამოსადიკვად... ეს ბრძოლა უნდა გაძლიერდეს და გაძლიერდება კიდევ... ნუ დაგვაწიფდება, რომ ამ ფესვების ამოძიკვა კვლავ და კვლავ რჩება ჩვენს უახლოეს, უმწვავეს და უაქტუალურეს პრობლემად“.

„ამოძიკვის“ მეთოდი რომ დღეს იქვეა (სამუდამოდ), სადაც მავანთა და მავანთათვის სანატრელი კომუნისმი - სახელდობრ, ისტორიის სანაგვეზე - ეს ყველამ ვიცით. მას, საბედნდროდ, ვერავინ გამოათრევს იქიდან, თვით ისეთი მანიაკიც კი, რომელიც იტყვის, ან სხვას ათქმევინებს „ებრაელები წყალს გვიკეტავენო“ (სხვათა შორის, წყალი გუმინწინაც გადაუკეტეს ფანასკერტელის ქუჩის ნახევარს, რომელსაც მანამდე ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერება დღე-ღამეში ორი საათით მაინც ჰქონდა). მაგრამ ჩვენ ახლა სხვა გვანტერესებს, სახელდობრ, ლოგიკურ გადასკუპება-გადმოსკუპების პრობლემა. „პროვინციული ფაშისტი“ რომ ნეოკომუნისტურ ფარგონში ზ.გამსახურდიაზე მიმარებელი ეპითეტია, ყველამ ვიცით. ახლა ვიკითხოთ: ფაშისტის რომელი ნიშანი ახასიათებს ზ.გამსახურდიას მმართველობის წლებს: ანტი-სემიტისმი? არა, იგი, პირიქით, მისი დამამსობელი მეზობლის თვისებაა. სისხლი? არა. იგი მის შემდეგ დაიღვარა და ადამიანის სიცოცხლის ფასი ჩაღვრილი მისი დამზობის შემდეგ გახდა. კრიმინალური ელ-

ემენტის გამოყენება საყრდენად? არა, ეს მოვლენა სწორედ 1992-95 წლების სპეციფიკა საქართველოში და მისი კლასიკოსი ვინაა, ყველამ ვიცით. მაშ რა? ეპოციური პატრიოტიზმი (ანუ, კომუნისტური ფარგონით „ნაციონალიზმი“)? არა, არც ეს, რადგან ჩვენი ოპონენტი აქაც ლოგიკური ნახტომის - კარგა დიდი, „ყოვნიანი“ ნახტომის (რაც კალათბურთელისთვის ოცნების საგანია) მდგომარეობაში ექცევა. ფაშისტი ნაციონალისტურია, მაგრამ განა აქედან შეიძლება დასკვნა, რომ ნაციონალიზმი ფაშისტურია?

ახლა კი ყველაზე უარესი ვიკითხოთ. ვინ მოახსენა ჩვენს ავტორს, რომ თუ „ფაშისტი“ ქართულია, იგი პროვინციულიცაა? დიახ, საქართველო პატარა ქვეყანაა და კოლონიური მდგომარეობის გამო იგი მსოფლიო განვითარების არეალს რამდენიმე საუკუნის მანძილზე განზე დარჩა. მაგრამ სიტყვა „პროვინციული“ ამას როდი ნიშნავს! „პროვინციული“ ის არეალია, რომელიც თავისი კი არა, რომელიცაა სხვა „ცენტრის“ (და არა - მსოფლიოს) პრობლემებით ცხოვრობს და თავის ღირებულებათა შკალას იმ სხვისაგან სესხულობს. სხვისი „ცენტრის“ ინტერესებით რომელი ბინძური პარტიკაცაშირია აღზრდილი საქართველოში, ყველამ ვიცით. საქართველო მხოლოდ თავისი პრობლემებით, თავისი საზომებით, მსოფლიოს პრობლემებით და მსოფლიოს საზომებით მაცხოვრებელი ქვეყანა იყო და არის (ილუსტრაცია ძნელი არ არის, მაგრამ დრო უნდა) და ასევე იყო, კერძოდ, განსვენებული ზვიად გამსახურდიაც, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელიც, სულ ცოტა, ქართველი საზოგადოებისა და ქართველი ინტელიგენციის შუაგულში, თბილისის შუაგულში აღზრდილი კაცი იყო.

კვლავ რომ „ამოფხვრისა“ და „ამოძიკვის“ აქტუალურ თემებს დავუბრუნდეთ, ეს თემა საქართველოსთვის უცნობი არ განლავო. ვისაც „ამოფხვრა“ და „ამოძიკვა“ ენატრება, თავისუფალი პრესის ამოძიკვის ჩათვლით, დაე, თავისას ეცადოს. მზად ვართ. ჰა ბურთი და ჰა მოედანი! მობრძანდით და თქვენმა ვაჟკაცობამ იცოდეს!

ნოეზარ ნათაძე



# არქონული ალექსანდრე ლეგალი - გამირი თუ მსხმერპლი?

გორის ელცინის მეორე საპრეზიდენტო მმართველობას იგივე სწულე-ბანი ჭირს, რაც პირველს: შინაური მეტოქეობით შერყეული ხელისუფლება, პრეზიდენტი, რომელიც უჩინარდება ყოველი კრიზისის დროს და სრულიად უკონტროლო ომი ჩეჩნეთში. ალექსანდრე ლეგალი და მისი პოლიტიკური კარიერის მიწურულს და უკვე საკმაოდ დაუსტებულს, მოუპოვებინა კავკასიური რესპუბლიკის „დამამშვიდებლის“ სახელი და არ შერჩენოდა ისტორიას, როგორც გროზნოს ფაშა. „ჩეჩნეთის მეხანძრე“ გუშინ დაბრუნდა მოსკოვს, რათა წარედგინა რუსეთის ხელისუფლებისათვის სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური ნაწილი. „მე მალე დაბრუნდები ჩეჩნეთში“ - შეპირდა იგი სეპარატისტების ლიდერებს. მაგრამ მანამდე მან კრემლის პატრონი უნდა დაარწმუნოს საკუთარ სიმართლეში.

ომის მიზეზი ჩეჩნეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევა იყო. დღესაც ამაზე ლაპარაკი სწორედ ეს არის ჩეჩნეთის მოვლენების საფუძვლიანი კვა. 1994 წელს რუსეთის ჯარებმა სწორედ იმიტომ გადალახეს ჩეჩნეთის საზღვრები, რომ აქედან დაეხიზნებინათ ეს პატარა რესპუბლიკა, უარი ეთქვა დამოუკიდებლობაზე. რომელიც 1991 წელს იქნა საქვეყნოდ გაცხადებული. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ორთავე მხარისთვის მისაღებ, ღირსეულ გადაწყვეტილებას სთავაზობს კრემლს და გროზნოს. რუსეთის ჯარები დატოვებენ ჩეჩნეთს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განუსაზღვრელი დროით გადადებენ დამოუკიდებლობის მოთხოვნას. რუსეთის საჯარისო ნაწილების გასვლა რესპუბლიკის ფაქტურ დამოუკიდებლობას მოასწავებს. დაარღვია, რა კარგა ხნის დემილი, ბორის ელცინმა მხარი დაუჭირა თავისი დესპანის სამშვიდობო ინიციატივებს. რუსეთი ჯოჯობად იცავს ჩეჩნეთის შენარჩუნების თეზისს, მაგრამ თანახმაა პოლიტიკური სტატუსის საკითხი რამდენიმე წლით გადაავადოს.

რუსეთის ჯარებმა იწყეს ჩეჩნეთის დედაქალაქიდან გამოსვლა. ჩვეულებრივ სკეპტიკურად განწყობილი რუსეთის დემოკრატიული პრესა ერთსულოვნად მიესალმა „მშვიდობის არქიტექტორის“ ალექსანდრე ლეგალის ძალისხმევას. „მეორე ასეთი შანსი ჩვენ აღარ მოგვეცემა“ - წერს გაზეთი „Сегодня“.

მხად არის თუ არა ბორის ელცინი მოეჭიდოს ამ, ვინ იცის, უკანასკნელ შანსს? გროზნოში განცდილმა საშინელმა მარცხმა ჩიხში მოაქცია მოსკოვი. ალექსანდრე ლეგალის წყალობით რუსეთს შეუძლია თავი დააღწიოს ამ სამარცხვინო მდგომარეობას და დაიხსნას ალყაში მოქცეული რუსი ჯარისკაცები. მაგრამ „მშვიდობის გამოცხადებასა და მშვიდობის დამყარებას შორის დიდი სხ-

## ჩვენი დროი:

უზბეკეთის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი რუსტამ ახმედოვი დაიბადა 1943 წლის 10 ნოემბერს ფერგანის ოლქის ბალდაის რაიონში. უზბეკია.

1961 წელს დაამთავრა კონკადის მექანიზაციის და სოფლის ელექტროფიკაციის ტექნიკუმი, 1965 წელს - ტაშკენტის სატანკო სასწავლებელი, 1985 წელს - ჯავშანსატანკო ჯარების სამხედრო აკადემია.

სხვადასხვა დროს იყო ოცმეთაური, სატანკო ბატალიონის მოადგილე, სამოქალაქო თავდაცვის უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი.

1991-92 წწ. უზბეკეთის რესპუბლიკის მინისტრი თავდაცვის საკითხებში - ეროვნული გვარდიის სარდალი.

1992 წლის ივლისიდან არის უზბეკეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

9-10 სექტემბერს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა უზბეკეთის რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ რუსტამ ახმედოვის ხელმძღვანელობით. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს და შეიქმნა პრეცედენტი - „უფროსი ძმის“ გარეშე მოგვარდეს ურთიერთობა თანამეგობრობის ნეფრ ქვეყნებთან ქვეყნობრივად პარიტეტულ და თანასწორ საფუძველზე.

გენერალ-პოლკოვნიკმა რუსტამ ახმედოვმა ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს, რომელსაც ქვემოთ ვრცლად ვებუძვალთ.

## რუსტამ ახმედოვი:

### „რატომ უნდა ვითანამეგობრობოთ

### საქართველოსთან მოსკოვის მეზობლივით?“

- ბ-ნო მინისტრო, თქვენ და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ხელი მოაწერეთ სამხედრო თანამშრომლობის დოკუმენტი პაკეტს. გვიხარიათ, კონკრეტულად რა სფეროებს მოიცავს ხელმოწერილი ხელშეკრულებები და რა პარიტეტებზეა მათში საუბარი?

- ეს არის, ძირითადად ხელშეკრულება საქართველოსა და უზბეკეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, საბაზო დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ჩვენ პრეზიდენტებს შორის 1996 წლის 28 მაისს თბილისში ხელმოწერილ ხელშეკრულებას თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ.

კონკრეტულად კი ეს ხელშეკრულება მოიცავს სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას, სამხედრო მრეწველობის კოოპერირებასა და კონვერსიას, სამხედრო საკითხებში ურთიერთდახმარების აღმოჩენას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკებში დარჩენილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ობიექტები პროფილის შეცვლას და სათანადო კონვერსიას საჭიროებენ. აქ შეიძლება მოგვხიანო პროექტების შემუშავება.

ამას გარდა, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ საქართველოს სამხედრო ძალებს კადრების მომზადებაში. უზბეკეთში 6 უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი ამისთვის მზად არის. საინტერესო პერსპექტივებია ზურგის უზრუნველყოფის და სანიეტო-მოპარაგების მიმართულებით. ჩვენ შეგვიძლია და მზად ვართ, მოაწოდოთ საქართველოს ბაზმეული ნედლეული და დაჩითული ქსოვილი საველე სამოსისთვის. ჩვენ გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძესთან ერთად ხელი მოვაწერეთ აგრეთვე ოქმს ორ ქვეყანას შორის სამხედრო აეროდრომებზე სამხედრო ზომილობის მიღების ორგანიზების, სააეროდრომო-ტექნიკური და დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. ერთ-ერთი პარიტეტული მიმართულება ჩვენ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობაში იქნება საავიაციო საკითხები. უზბეკეთსა და საქართველოს ძლიერი პროფილის საავიაციო ქარხნები აქვთ. უზბეკეთში ესაა „ჩკალოვსკის“ საფარმოო გაერთიანება, სადაც ეწყობოდა ცნობილი „ილ-76“. ამჟამად სერთიფიკაცია გაიარა მისმა მოდერნიზებული პროექტმა „ილ-76 მუ“-მ, რომელსაც უფრო ეკონომიური ძრავა და მომეტებული ტვირთწონილობა აქვს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, გვინტერესებს თბილისის საავიაციო ქარხნის მოიერიშე „სუ-25“. ასე რომ, თანამშრომლობის ძალიან დიდი პერსპექტივებია. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს თანამშრომლობა არაფერს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და პარიტეტულობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზეა დამყარებული.

- უკანასკნელ ხანს ბევრს საუბრობენ დსთ-ს ინტეგრაციაზე და კოალიციური ძალების შექმნის აუცილებლობაზე. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?

- თავისთავად სიტუაცია კოალიცია გარკვეულ დამუქრებას შეიცავს რომელიც მესამე მხარის წინააღმდეგ ყოველი ძალა კი საპირისპირო ძალას წარმოშობს. 40 წელზე მეტი იარსება მსოფლიოში მწვევ დამარცხებამ ორ სამხედრო ბლოკს შორის და მისი შედეგები ყველამ კარგად იცის. ახლა ეს დაპირისპირება აღარაა, რადგან აღარ არსებობს ვარაუდის



ბლოკი. მაგრამ თუ ჩვენ რაღაც გარკვეულ ძალებს შევქმნივთ, ეს ცივი ომისკენ უბიძგებს მსოფლიოს. ამიტომ, როცა სამშვიდობო თუ კოლექტიურ ძალებზეა საუბარი, ჩვენი ქვეყნის პოზიცია ასეთია: ყოველი სამშვიდობო ოპერაცია უნდა განხორციელდეს გავრცელებული და საერთაშორისო სამართლის პრინციპების სრული დაცვით.

ეს არაერთხელ განაცხადა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ბ-ნმა ისლამ ქარიმოვმა გავრცელებული ტრიბუნლიდან თუ დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დროს. საქმე იმაშია, რომ როდესაც სამხედრო ძალები მოქმედებენ გავრცელებული და საშუალებას აძლევს საერთაშორისო საზოგადოებას აკონტროლოს პროცესი, რათა ამ ძალებმა არ გამოხატონ რომელიმე ერთი მხარის ნება, რის საშიშროებასაც შეიცავს ზემოხსენებული კოალიციის იდეა. გარდა ამისა, კოალიციური ძალები, ჩვეულებრივ, ომის დროს იქმნება. ასე იყო I და II მსოფლიო ომების დროს. ამჟამად კი რა საჭიროა ეს? ამ საკითხის ნაჩქარევად და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებლად გადაწყვეტა ყოველად დაუშვებელია.

- საიდუმლო საკითხები თუ განიხილეთ?

- საკითხები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ საიდუმლოს ქართველი ხალხისთვის ან საინფორმაციო საშუალებებისთვის, ჩვენ არ გავგვიხილავს. უზბეკეთი არის სახელმწიფო, რომელიც საკუთარ დამოუკიდებლობას და საკუთარი ხალხის აჯანყებას ესწრაფვის და პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს. ჩვენ არ ვმალავთ, რომ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც 28 მაისს საქართველოში ყოფნის დროს საქვეყნოდ განაცხადა ჩვენმა პრეზიდენტმა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კეთილდღეობა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაცაა. ამ შეკითხვაში, ალბათ, შიდა კონფლიქტებს გულისხმობთ: არ დაგიძლიათ ამ საკითხზე ჩემს მოსაზრებას. აფხაზეთი ისეთივე ნაწილია ქართველი ხალხის, როგორც აჭარა და სხვა ისტორიული კუთხე. ეს არის ერთი ხალხი. ეს ჩვენი ქვეყნის პოზიციაა და იგი არასოდეს დაგვიმალავს. არიან ძალები, რომლებსაც არ სურთ მშვიდობა საქართველოში, რომლებიც აღვივებენ ერთა

და ეთნოსთაშორის დაპირისპირებებს. ჩვენ კი გვინდა, რომ თქვენთან იყოს მშვიდობა, რადგან თავადვე ვცხოვრობთ საფრთხით გარემოცულნი. საშიშროით აღწნეთა, აღმოსავლეთით - ტაჯიკეთი. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შეაკავოს ვითარება. დღესდღეობით უზბეკეთი ცენტრალური აზიის სტაბილურობის კუთხელია, რაც იოლად არ მოსულა. ჩვენმა პრეზიდენტმა და ხალხმა არ დაუშვა ფერგანაში სეპარატისტული ძალების მოქმედება და აღვეთა ისინი.

ჩვენ გვინდა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ხალხმა გაიგოს, რომ ისინი ერთნი არიან.

საქართველო მდიდარია, რაც უფრო მალე დამყარდება მშვიდობა, მით უფრო აჯანყდება თქვენი ქვეყანა და მთლიანად რეგვიონი.

აქ ვარდიკო ნადიბაიძემ რუსეთთან გვერთიანებულ საპერო თავდაცვის სისტემის შექმნაზე ისაუბრა. იცით, თქვენ ყველაფერი საკუთარი უნდა გქონდეთ. მათ შორის საპერო თავდაცვა და გენერატი კიდევ, იმდენად მდიდრები ხართ. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს დამყარებული რუსეთის ფედერაციასთან, მაგრამ ვერ გამოვიგია, რატომ უნდა ვითანამშრომლოთ საქართველოსთან მოსკოვის მეშვეობით, როცა ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყნები ვართ და პირდაპირ პარიტეტულად კავშირების დამყარება შეგვიძლია ტაშკენტსა და თბილისს შორის? ასეთი კავშირები ჩვენ უკვე გვაქვს თურქეთთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და ისინი კარგად მუშაობენ. ვფიქრობ, ასევე იქნება საქართველოსთან, რასაც ჩვენს შორის დადებული სამხედრო თანამშრომლობის ეს ხელშეკრულებებიც მოწმობენ.

- როგორია იქნება თქვენი პირველი ნაბიჯი სამხედრო თანამშრომლობის გაზაზე?

- პირველი ნაბიჯი ის იქნება, რომ პირდაპირ აქედან გავმართებთ თბილისს საავიაციო ქარხანაში და თვითმფრინავების რემონტის და შექმნის საკითხების გადაჭრაზე ვიმსჯელებთ.

- როგორია თქვენი მოსაზრება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების თაობაზე?

- რუსეთი და ამერიკა არის ორი ქვეყანა, რომლებიც უნდა იყვნენ პლანეტაზე მშვიდობის გარანტები. ამიტომ ისეთი ქვეყნები, როგორებიც უზბეკეთი და საქართველოა, მხოლოდ მიესალმებიან მათ შორის თანხმობის მიღწევას. რაა ჩვენთვის ნატო? ჩვენ, უზბეკებს და ქართველებს, გვინდა მშვიდობიანი ცხოვრება და ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. ნატოს გაფართოების პრობლემები კი დაე, თავად რუსეთმა და ამერიკამ მოაგვარონ ისე, რომ არ ჩაითრიონ მასში სხვა ქვეყნები. რაც შეეხება პოლონეთის ან აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების გაწევრიანებას ნატოში, ისინი სუვერენული ქვეყნები არიან და ეს მათი პირობებია. აქ დასამალი არაფერია. ამიტომ, ამის თაობაზე რაღაც განცხადებების და კომუნიკაციების კეთება არის მცდელობა ნატოსა და რუსეთის დაპირისპირებებში სხვა ქვეყნის ჩათრევისა, რაც არასწორად მიმართა. ვიმეორებ, - დაე, ყველაფერში თავად გაერკვნენ.

პრეზიდენტის მიხედვით  
მოამზადა სანაგო იმამგა.







# ფრილი რედაქციას „წყალნი წავლენ და წამოვლენ...“

მისი ტეხად გადაიფარება მეორე მსოფლიო ომის საქართველოს ცარგვალზე ხსონაზილა შემორჩა მათი სახელები, ვინც შეეწირა ამ ქართველთათვის უსახელო ომს და როდენ დასაწინაა, როდესაც ამ ხსონას უდიდრად და უპატოდ უგურობიან, როდესაც იმ ვაჟკაცთა სახელები, რომელთაც უშურველად გაიღეს საკუთარი სიცოცხლე დღეს აუგად და დაცინვითაც კი მოიხსენიება.

წყნა ქართველთა, გარდაცვლილზე აუგის ართქმა... წესსა და კანონს არ დაგიდევნ ზოგნი და დაუმსახურებლად სვიან ლაფში იმ ადამიანთა სახელებს, რომელნიც არათუ ლანძღვისა და ქილიკის, არამედ ქებისა და მადლიერებით მოხსენიების ღირსნი არიან.

ა.წ. „იბერია-სექტრის“ 18-24 გელისის ნომერში დაიბეჭდა ერთი ფრიად უმცაგესო და უგანო ფელეტონი სათაურით „სიზმარად მამუს კანტეში“. სიზმარიც ასეთი უნდა! ღმერთმა უწყის რა სიზმარი პქონდა ნანახი „იბერია-სექტრის“ რედაქტორ-გამომცემელს, როდესაც ამ სიზმარბაობღვარს ბეჭდავდა. ეს მათ სინდისზე უფოს მოქმედი გმირნი მიცვალებულნი არიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ავტორიც კი მიცვალებულია (ეს ფაქტი დასტურდება ოფიციალური ცნობით, სადაც აღნიშნულია, რომ ვარლამ ბიგვაგა“ გარდაიცვალა 1993 წ.)

იმ სახელთა შორის, რომელნიც არიან ნახსენები ამ სიზმარ-ფელეტონში, არის ვინმე კიკა შამათავას სახე-



ლი, რომლის სახელსაც თურმე არქმევდნენ სენაკის ერთ-ერთ ქუჩას, ადრე გორკის ქუჩად წოდებულს.

პირველი: ის რომ გიკა (გიორგი) შამათავა (და არა კიკა - როგორც ფელეტონში) სრულიად არაფერ შუაშია ამ ქუჩის სახელთან, ვინაიდან სენაკში ყოფილ გორკის ქუჩას სილოვან შამათავას სახელი ეწოდა. გიკა შამათავა კი შვილი გახლდათ დიდი სილოვან შამათავასი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თავისი ხალხის წინაშე.

სილოვან ნიკოლოზის ძე შამათავა 1896 წ. დაიბადა სოფელ ფოცხოში. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა

სენაკის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ, ბავშვთა პოლიკლინიკის გამგედ, სენაკის რკინიგზის პოლიკლინიკის გამგედ. უამრავი ბავშვის სიცოცხლე გადაურჩინა მას (იგი პედიატრი იყო). მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა როგორც ექიმი-ჯარისკაცი და შეეწირა კიდევ ქერხთან ბრძოლების დროს თავის პროფესიული ვალის შესრულებას. მადლიერმა შთამომავლობამ მისი სახელის უკვდავსაყოფად სენაკის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდა და სწორედ ეს ფაქტი გაუხიდა საფელეტონოდ ავტორს რაც შეეხება მის ვაჟს - გიორგი (გიკა) შამათავა ექიმი გახლდათ და ისიც ასევე უანგარო და უკეთილშობილესი პიროვნებაა. ვის რაში დასჭირდა ამ სახელთა აუგად მოხსენიება, ნამდვილად გასაოცარია. გასაოცარია ის ფაქტიც, რომ რედაქციამ ასე „გულურჯილოდ“ გამოაქვეყნა ეს ყოველი დამამცირებელი ფელეტონ-ნაბოღვარი; დამამცირებელი არა იმ მიცვალებულთა სახელებისა, არამედ ჩვენთვის, ცოცხლადმყოფთათვის.

„წყალნი წავლენ და წამოვლენი“ ნათქვამია. უგვანნი და საზრახისნი წავლენ და კაცთა სახელი დარჩება, რადგან ხსონა სიკეთისა, ვაჟკაცობისა, ერთგულებისა - სამარადჳთაა.

ნუნა ბირმაძე  
მუშაკი  
რამაზ შამათავა  
საპარტიზნოს საპლენოს  
აფხინისტრაციული დირექტორი  
აზარბაიჯანში.

P.S. ეს წერილი „იბერია-სექტრის“ რედაქციამ არ გამოაქვეყნა. ჩემის აზრით, შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ შეცდომასზე პასუხისმგებია, აღიარება: დიდსულელებია...

# ალექსანდრე ლეხეიძე - ბმირი თუ მსხვერპლი?

მესამე გვერდიდან

ვაობაა“ - შეგვახსენებს „Красная звезда“. სურს თუ არა ელცინს გონივრულად გამოიყენოს ლეხეიდის მცდელობა და ბოლო მოუდოს ომს. ან იქნებ, იგი არჩევს ისევე ძალითა და მუქარით აიძულოს ჩენეთი ხელი აიღოს თავის მოთხოვნებზე? მისი გარემოცვიდან ბევრი ურჩევს პრეზიდენტს მისხალიც კი არ დაუთმოს ჩენებს.

ასლან მასხადოვის აზრით, უკანასკნელ დრომდე ჩენებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ადამიანები, რომლებმაც თვით წამოიწყეს ეს ომი. „ლეხეიდს ხელეზზე სისხლი არ სცხია“ - განაცხადა მასხადოვმა, „პატარა ჩენეთმა, რომელსაც ბევრი მსოფლიო რუქაზე ვერც კი მიაგნებს, სამარცხვინო მარცხი განაცდევინა ვეებერთელა რუსეთს“ - აღნიშნავდა OPT-ს სატელევიზიო ხაზი. „ლეხეიდის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას კაპიტულაციის სუნი ასდის“ - წერდა „Независимая Газета“.

გაურკვეველია „ერთობლივი კომენდატურების“ ბედიც, როგორ უნდა ითანამშრომლონ გუშინდელმა მოსისხლე მტრებმა? (40000 დაღუპული ჩენი, 5000-დან 10000 მოკლული რუსი ჯარისკაცი).

რუსული ნაწილების გაყვანაც საეჭვოა. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ჯარის გაყვანას მყისვე სამოქალაქო ომი მოყვება. გენერალური შტაბის მაღალი მოხელის განცხადებით, ჯარების გაყვანას მხოლოდ თავდაცვის მინისტრი ვერ გადაწყვეტს. „ჩენეთში მოქმედი ნაწილები შინაგან საქმეთა მინისტრს ემორჩილებიან. კუდიკოვი კი აპირებს დამატე-

ბითი ნაწილები შემოიყვანოს რესპუბლიკაში“, - განაცხადა გენერალური შტაბის წარმომადგენელმა.

მაგრამ ლეხეიდის გეგმას ყველაზე დიდი დარცმვა პრეზიდენტმა მიაყენა. სატელევიზიო ინტერვიუში ელცინმა, რომელიც იმ დღეს შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა, განაცხადა, რომ იგი „არც თუ ისე კმაყოფილია“ ჩენეთში მისი წარმომადგენლის საქმიანობით. აშკარაა, ელცინი ლეხეიდის სულ უფრო მზარდმა პოპულარობამ გააღიზიანა და მან გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მიენიშნებინა, თუ ვინ იყო „გემის კაპიტანი“. ელცინი, „გაუჩინარების ხელოვნების“ დიდოსტატი - გავისხენოთ, თუნდაც „ცხვირის ტიხარის ოპერაცია“, რომელიც მეტად უცნაურად დაემთხვა რუსეთის ჯარის ჩენეთში შეჭრას, - დღესაც ერთგულია ერთხელ არჩეული ტაქტიკისა. მას სურს ითანამშრომლოს შემრიგებლის როლი „სომიერ“ და „მაგარ“ ტიპებს შორის, რათა როგორმე განამტკიცოს ხელისუფლება, რომელიც დამაბუნებელი ხელეზიდან ეცლება. მან ლეხეიდს „სრული უფლებამოსილება“ უწყალობა, მაგრამ, იმავედროულად, ჩენეთში მოქმედი ჯარების საერთო ხელმძღვანელობა გენერალ კულიკოს გადაულოცა, რომელიც, საერთო აღიარებით, ძალისმიერი მეთოდების მომხრეა. გენერალი ლეხეიძე კი დღესაც ვლის პრეზიდენტთან შეხვედრას...

# ფელეტონი როგორ ბავხდი მსაკუმრო...

საპრიმატიზაციო ობიექტების (ფაბრიკები, ქარხნები, წვირილ-წვირილი სავაჭრობები, სახელოსნოები და ბევრ სხვა რამეთა შორის საპრიმატიზაციო ობიექტებიც) და საპირფარეოების) რჩევა-რჩევაში დიდხანს შემორჩა ჩემი ვაუჩერი, ვაუჩერი, რომლის დიდებულებაც, ბევრ კიდევ მამინ, სულ ნორჩი, ძუძუმწოვარი, ჩვენგან უდროოდ წასული, ცხონებული კუპონის დროს, მთავრობამ 30 დღეაღარ შეეფასა.

წარმოიდგინეთ, რა სიმდიდრეს გეთავაზობდა მთავრობა, რა დიდი საკუთრების მფლობელნი ვხდებოდით, მაშინ, როცა ამ ფასად (ცხონებული კუპონის სიცოცხლეში) ერთ უნალო თოჯინას, ან ბვერი-ბვერი ტელეფონის ერთ აპარატს თუ იყიდდი, ბავშვის სათამაშო კომპიუტერზე თუ პაწაწინა მქან-ქანურ ავტომანქანაზე ხელიც ვერ მივიწვდებოდა.

ვფას კაკალი გააგებინეთ, მუქთად მოცემული 30 დღიანი მაინც კარგი იყო, მაგრამ ბოლოში, ვაუჩერების ნაცვლად ამ 30 დღეარს არავინ მოგართმევდა! ვაუჩერით უნდა შეგვეხინა რომელიმე ფაბრიკის, ქარხნის, წვირილ-წვირილი სავაჭრობის, სახელოსნოებისა და საპრიმატიზაციო გამობანდებელი სხვათა შორის საპრიმატიზაციო ობიექტისა და საპირფარეოების აქციები, რომ ამითგან რომელიმე ობიექტის ერთ-ერთი მესაკუთრე გამხდარიყავი. აბა, ერთი ვაუჩერით ფაბრიკის მფლობელი გახდებოდი, შენმა შვიმ! ერთ-ერთი მესაკუთრე - უქციონერი ობიექტის მუშაობის სიმდიდრისა და მისი შემოსავლების მიხედვით მიიღებდი დიდიფენს, ესე იგი მოგებნი ნაწილს. („მომე მაგი მჭაღი და მოგიტეხავ პაწას“!)

ჩემი რადიო და ტელევიზია კარგადაა გვიწვედა ავტოციას, წერდნენ გამოთვლით, აქვეყნებდნენ საპრიმატიზაციო ობიექტების სიას და გვიჩვენებდნენ შევექმნა აქციები. ჩაგებახოდნენ, ჩაგებახოდნენ და ჩაგებახოდნენ, რომ პრიმატიზაცია ჩემი და ჩემნი შვილების ბედნიერების საწინდარია.

სად ჩასდებ ვაუჩერს, ვის ენდობი ამ არეულ-დარეულბაში?! სად, ვისთან, როცა მრეწველობა პა და პა ვაუჭედა-

# ვაუჩერით

ვად იწყებს გამოცოცხლებას, როცა ვაზი არ არის, ელექტრონერგია საკმარისი არ არის, როცა მომლოდი და გაძარცვულია დანადგარები, გამწოვი თუ შემწოვი მექანიზმები, როცა თაღლითებმა ხელთ იგდეს სუკის საუკეთესო ნაჭრები, შენ კი გაფხვრილი და გალოკილი ძვალი მოვიგდეს!

არ გიკვიროთ ან ამ ფელეტონის დასაწერი ქალაქი სად და როგორ ვიმოუე?

დღემდე, ვერჯერობით, არც ერთი დაწესებულება იმის იმედს არ იძლევა, რომ ვაუჩერით შექმნილი აქციები „ჩემნი და ჩემნი შვილების ბედნიერების გარანტია“ იქნება.

თვალთავან არ შმორდება ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენილი ბიჭუნა, რომელიც მოზრდილთა მიერ ნაკარნახევს მართლა საყვარლად იმეორებდა. ეკრანზე გამოჩნდებოდა კოსტად, ვალიმბული სახით, თავის სახელს არ გვეუბნებოდა, მაგრამ ასე კი გაგვეცნობოდა:

- ეს მე ვაღ! - ამბობს და ამის მოქმედი ვინდა გულში ჩაიკრა და ჩაიხურტო.

მის გვერდით გამოჩნდება ქალი.

- ეს ცემი ლეიკია! - გაცნობს ბიჭუნა.

ქალი იღიმება, ბედნიერება გამოსჭვავის მისი სახიდან.

შემდეგ მათ გვერდით თვალუბარწყინებული მამაკაცი გამოჩნდება.

- ეს ცემი მამიკია!

კაცსაც ბედნიერება გადახატვია სახეზე. ღმერთო ჩემო, ნუთუ კიდევ არიან ბედნიერი ადამიანები, ნუთუ კიდევ არის ღიმილი?! ეს ხომ კარგია, მეტისმეტად კარგი! ღმერთო, გვიმარავე ასეთი ოჯახები! აბა, სხვა რა უნდა თქვა!

შემდეგ რამდენიმე ვაუჩერი ამაყად გამოიხედავს ეკრანიდან. ბიჭიკო ვეიხსენის:

- ეს ცემი ვაუცლებია! ბრავო! ბრავისიმი!

მე კი შინ მივლია ვაუჩერი და კიდევ არჩევანში ვარ იმ დროს, როცა ამ ვაუჩერებით, რაც ეკრანზე ჩანდა, ბიჭუნას და მის მშობლებს ხელში უზარმაზარი ქარხანა ჩაუვლიათ. ქარხანა ეკრანზე ნახატი სახითაა წარმოდგენილი, საკვაშირითა და ბოლით.

- ეს ცემი ქალხანაა! - ამაყად გვეუბნება ქარხნის პატარა მეპატრონე და მომავლის იმედით მიწუდება გული. ამავე დროს თმები ყალზე მიდგება. შური? ნუთუ ამ ბიჭუნამ უნდა მაკუპოს, ქარხნის მფლობელი რომ გამხდარა!

შენ პირს შაქარი, პატარავ! შეგნებულ კი გაქვს, რას ამბობ?

პატივცემული მკითხველო, გულზე ხელი დაიდეთ და თქვენც ასე გულწრფელად გამოხატეთ, რისი მესაკუთრე, რისი მფლობელი გახდით თქვენი ვაუჩერით, ანდა ნაყიდი ვაუჩერებით!

ახლა ის ბიჭუნა თვალცრემლიანი ხომ არ ელოდება თავისი ქარხნის დიდიფენსს? ან იქნებ ერთხელ მაინც გამოიყვანონ ტელევიზიით ის მზიარული მსახიობი (გვარი არ მახსოვს), ღიღის ამბით, ყოველ დღით, შუადღისით, ნაშუადღევს, საღამოს და ღამით, მზიარულად რომ მოვემართავდა: „გამარჯობათ! პრიმატიზაცია წარმატებით მიმდინარეობს... თქვენ ალბათ აიღეთ ვაუჩერი და არ იცით, სად დააბანდეთ იგი...“

ამას ნამდვილად მე შკარნახობდა, მე ჩამბახოდა, მახსენებდა, რომ ვაუჩერი სადმე დამხანდებინა... მე კი მეცინებოდა ყოველ მის გამოჩენაზე... ნიჭიერი კომიკოსი ჩანს, ღმერთმა ხელი მოუშაროს თვატრსა და კინოსში!

იხე კი, რა უცებ გაქრა ვაუჩერის ხსენება!

ნეტავი ახლა ახალს რას შემოგვთავაზებენ და კიდევ რამდენი წლით ჩაგვჩიან პირში შაქიან წყალში ამ-



ჭადრაკის პარტია უმაღლეს დონეზე ალექსანდრე ლეხეიძესა და ბასავეის ძმა - შირვანს შორის

# პაუზირით

შეშვიდე გვერდიდან

ოვლელად სატყუარას?!  
ახლა იმაზე, თუ რა ღაღაღათი ჩემს ვაჭურს და რისი შესაკუთრე გავხდები.

ობიექტების (ნუ ჩამომავლევინებთ, იხილეთ ზემოთ) რჩევა-რჩევაში (მეც და-ვუკუკრე რაღა!) საკმაოდ გავიდა, ვაუ-ჩერის ფასი კი დღითი დღე დევს. ის ცხონებული კუპონიც გარდაიცვალა (კარსტო ეშუ ნებუნოვ!), დიდის ამბით დავსაფლავებ, რომ ღარი ავუკვავებინა. ამ დასაფლავებას კარგა ბლომად თანხაც მივაფშვინებო...

ღარი მოზრძანდა. აქოდა დოლა-რის ტოლფასი გავხდები, თავში ღაღაღათი-ანად ჩაფარა ვაჭურს და მისი ფასი შავ ბაზარზე 4 ლარი და 50 თეთრი გახდა. დავკაიმბეღს ვაჭურის ფასი ისევ აიწვესო.

ქვეყანა ყოფილა ვაჭურებს, ავდექ და მეც ვაღაფრებოვ გაშვიდი. ახლა იმასდა ვუკვდილი, როდის აიწვედა მისი ფასი. როგორც იქნა ავიდა, ავიდა და 7 ლარზე

გაიყინა.  
არ ვიცი, შიმშილობა თუ ნერვული-ბამ მიყო, საშინლად ამტკვდა კუჭი. ექიმმა (ფასიანმა!) გამომიწერა წამლები (ტირ-ფასიანები!), რა მექნა, რა წყალში ჩავ-ვარდნილიყავი, საღ მეშოვნა ამდენი ფული?! ავდექი და რაღაც-რაღაცებთან ერთად გავვიდე ის ჩემი ვაჭური. ამ ფუ-ლით ვიყიდე წამლები, მათ შორის კონ-ტა ბოთლში ჩასხმული „ალმაგელი A“. ბოთლს, კონტა სახურავიც ქიანდა. წა-მალი ვხეი იმ წესითა და რიგით, როგორც ეს ფასიანმა ექიმმა დამინიშნა. ორი ბო-თლი დავცალე... მაგას რა შნიშვნელობა აქვს მკითხველისათვის, მარგო თუ არ მარგო, უწემოდაც მიხვდება, რომ არ მარ-გო... ბოთლები კი ვადასაგლებად დამენანა, ავდექი და თანხაზე შეშოვავყე. შიგ ამა რას ჩავასხამ - არაფერს!

ეწყოს თანხაზე ასე, ჩემი ერთადე-რი ვაჭურით შექმნილი საკუთრება. ეწყ-ოს იმ დროის სამახსოვრად, როცა ბერს გვიპრდებოდნენ და ცოტა გვიკეთებდნენ!

თინათინ გომელაძე

## რეცენზიის გავიერ

### ვინ ხარ შენ, ბოროტ მბორცვალა?

წიგნის შინაარსის დასადგენად საჭიროდ ვცანი გამეხსენებინა ტი-ციან ტაბიძე და მისი გამონათქვამი საქართველოს ისტორიის შესახებ. იგი წერს:

„არავის ვმსახურებოდეთ. არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებლისა... მოდიოდნენ, მოდიოდნენ დამპყრობლები, ვინც აიღებოდა ფეხი სასიარულოდ... გზა მათი იყო საქართველოზე... დამ-ერთის უზარმაზარ ქვეყანა-ცირ-კში იდგა საქართველო, როგორც გლადიატორი... იდგა და იბრძო-და... შემოქმედი კი, უდიდესი და სასტიკი რეჟისორი, უყურებდა და ტკეპებოდა ბრძოლის სიღამაზით და იქნება ეს იყო მიხეუბი გლად-იატორის უკვდავების, მარადი ტანჯვის... თმისათვის არცერთ ხალხს ისეთი გრძელი და საგ-მირთ პოემა არ დაუწერია, როგორც ქართველს და პოემის ეპილოგი ჯერ კიდევ დაუწერე-ლია“ (ტიციან ტაბიძე, რჩეული, თბ., 1960 წ., გვ. 301-302).

ყველა მებრძოლ-დამმონებელი-აგან განსხვავებული აღმოჩნდა რუსე-თი...

დიახ, წავიკითხე წიგნი, რომელ-იც მომავალში, ენოლოგის წერისა ჟამს, დოკუმენტურ მასალად გამოადგება ახალი, რუსეთის იმპერიის ეპოქის, „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეს... როგორც ვთქვით, ყველა მებრძოლ დამპყრობთაგან რუსეთი განსხვავებუ-ლი აღმოჩნდა. იგი მოდიოდა და თან მოჰქონდა სიკვდილი, საპყრობილე, კა-ტორა, ჯვარცმა, დახვრეტა, გადა-სახლება... ქართველთა ადგილზე რუს-თა და სხვათა ჩასახლება. როგორც იბრძოდა საქართველო რუსი დამპყ-რობლების წინააღმდეგ? ეს იყო ბრძო-ლა სამკვდრო-სასიცოცხლო!

ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორ-გალი“ არის ჯვარცმულთა ღალადი და ძალმომრეობის ასახვა კლასიკურ ქვეყანაში, მოგზაურობა ბოროტებით აღსავსე უხილავ და შეუცნობ ქვეყა-ნაში, ან სულაც, დაბრუნება ძალა-ღობისა და წამების საუფლოდან, - სიკვდილ-სცოცხლის საბრძანებლ-იდან.

ისიც საკითხავია, პირადად „ვინ ხარ შენ, გორა მბორგალი, ხარი თუ ესპადა?“ (რომანის უკანასკნელი სი-ტყევიბა).

ამ კითხვებზე პასუხის გასაცე-

მად ვაგონოვსო წიგნი, ენოლოგთი ბატონი რეზო თვარაძე:

„დრო, რომელშიც მოქმედე-ბა ვითარდება... არის კომუნისტური რეჟიმის დასასრულის ხანა... ყვე-ლა შემთხვევაში ძალადობაზე დამ-ყარებულ წყობილებასთან გვაქვს საქმე...“

როგორ ყალიბდებიან და საბ-ოლოლოდ რად გადაიქცევიან ასეთი რეჟიმის პირობებში ადამიანები, ან თვითონ როგორ ჩამოყალიბდა სახ-ელოდობრ ამნაირ პიროვნებად უმთავრეს ამბავთა მიხრობელი, ანუ გორა მბორგალი, ანუ, ბარემ აქვე ვაგამხილოთ, ჭაბუა ამირეჯიბი“ (გვ. 3-4). რედაქტორი აქვე დასძენს: „ოუკი სწორად ჩაგვხედავთ, რომანი იმგვარად არის ჩაფიქრებული, მისი მთავარი პერსონაჟის ცხოვრება გაიზრდება მთელი ერის ცხოვრებად, მისი ხვედრი და ბედი - ერის ხვედრად და ბედად“ (გვ. 5). სწორედ ამიტომ, პირადად მე, როგორც სიმკვლეთა მუშაკი, ამ ნამდვილად დოკუმენტურ რომანს დავარქვედი: „ქართლის ცხ-ოვრების ყველაზე სისხლიანი ფურ-ცლები“.

ვახტანგ ბურჯანიძე

## საპროტესტო აქცია

შაბრძალ დაიძაბა სიტუ-აცია ერაყის ქურთისტანში. 31 აგვისტოს სადამ ჰუსეინის რე-ჟიმის 40 ათასი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დახ-მარებით შეიჭრა ქურთისტანის ტერიტორიაზე და დაიკავა ქალა-ქი ერბილი, სულეიმანია და სხვა რაიონები. აგრესიის მსხვერპლი გახდა 150 ათასი მშვიდობიანი მოსახლე. 400 კაცი დაიღუპა და უამრავმა ლტოლვილმა ირანის საზღვართან მთებს შეაფარა თავი. ყოველივე ამით ერაყმა დაარღვია გაეროს რეზოლუცია, რამაც მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია.

13 სექტემბერს საქართვე-ლოს გაერთიანებულ რესპუბ-ლიკურ პარტიასთან არსებულ-მა ქურთული კულტურის ცენ-ტრმა, რომელსაც ხელმძღვ-ანელობს ერაყის ქურთისტანის

პატრიოტული კავშირის წარმო-მადგენელი კავკასიაში ზაზა კალაშოვი, გაიმართა საპროტეს-ტო აქცია. მათი მოთხოვნებია: სასწრაფოდ გაყვანილ იქნას ერაყის ჯარები ქურთისტანის ტერიტორიიდან, დაცულ იქნას ადამიანის უფლებები. დამო-ბილ იქნა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ანტი-ქურთული ქმედებანი.

საპროტესტო აქციაზე სი-ტყვით გამოვიდნენ: ზაზა კალა-შოვი, მარინა კალაჩოვა, ეზი-დური რელიგიური ცენტრის წინამძღოლის მოადგილე გრიგ-ორი კასოფი, ეზიდური ცენტრის „რაზიბუნის“ ხელმძღვანელი დევრეშ ჯინდოიანი.

მიღებულ იქნა საპროტეს-ტო განცხადება, შეგროვდა ხე-ლმოწერები.

ანა ჯუღელი

Широко известная немецкая компания - производитель реактивов для диагностики и медицинского лабораторного оборудования, имеющая деловые связи во всем мире, намерена расширить свой бизнес в Грузии.

Для этого требуется

### ЭКСКЛЮЗИВНЫЙ ДИСТРИБЬЮТЕР ДИАГНОСТИЧЕСКИХ РЕАКТИВОВ И СИСТЕМ

Мы приглашаем к сотрудничеству компании и фирмы, работающие в сфере лабораторных и медицинских материалов и, желательно, уже имеющие опыт работы в интересующей нас области.


Обращаться в наше агентство по №S 1464.

Адрес: Ptntr Emrich-WERBUNG P.O. BOX 1805, D-55008 Mainz Telefax 8 10 49 61 31 / 68 70 21

ამერიკული კომპანიის დამოუკიდებელი დისტრიბუტორი ბთავაზობთ

უნიკალური მცენარეული კვების პროდუქტებს, რომლებიც ყოველგვარი შიმშილისა და დიეტის გარეშე დაგეხმარებათ ზედმეტი წონისაგან განთავისუფლებაში, პროდუქტები ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინისა და ციბიმების შემცირებას, წმენდს ორგანიზმს მარილებისაგან და ყოველგვარი მანერ ნარჩენებისაგან. ხსნის ნევროზს, ალერგიას, ეხმარება ადამიანს თავისი სასიცოცხლო და მორალური ტონუსის ამაღლებაში.

ტელ. 96-33-58



### პროსკორლი განსაკუთრებით ჭკვიანებისათვის

თარაზულაძე 1. მაგ მიხეზით, მაგის შედეგად, ესე იგი... 4. ცელქი, მოუსვენარი, ეშმაკი გოგონას საალერსო სიტყვა; 8. ნელი და ხანგრძლივი წიგნის ეპითეტი; 9. დასავლეთ საქართველოს სამიდან ერთ-ერთი ძველი ქართული სახელწოდება; 10. გამოჩენილი კონორეჟისორისა და სცენარისტის, ლვისკონტის ფილმის პერსონაჟი; 11. კანქვეშა ჯირკვლების მიერ გამოყოფილი სითხე; 13. „თორმეტი სკამის“ პერსონაჟი; 16. ერთ-ერთი ვეროპული ფულის ერთეული; 18. უაზროდ, უთავბოლოდ სიარული (სასაუბრო სიტყვა); 20. რეაქციული პოლიტიკა, დაფუძნებული ერთ-ერთ ყველაზე ანტიმეცნიერულ თეორიაზე; 23. შემდეგ (სინონიმი); 24. აღარ არის! (ბავშვის ენაზე); 25. წვრილი უკურკო ქიშიში; 27. დროის მონაკვეთი, მნიშვნელოვანი მოვლენით აღნიშნული; 28. ქიმიური ელემენტი; 30. ნაბარათაშვილის მეტსახელი; 32. ჩელენჯანო (სახელი); 34. ქალი - ესპანელ კომუნისტთა მგზნებარე ლიდერი; 36. ტექნიკაში სადენინფექ-ციოდ გამოყენებული თეთრი კრისტალური ნივთიერება; 37. წყნარ ოკეანეში გავრცელებული თევზი; 39. ლოკვათა და ქადაგებათა დასკვნითი სიტყვა; 41. ლეგენდარული, ღვთაებრივი ინდოელი კანონმდებელი; 42. დორის ხორცი, დამარილებული და ბოლში გამოყვანილი; 43. რაფიელი (მოფერებით - კინობითი ფორმა, უფრო სომხეთში გავრცელებული); 44. ღონისძიებათა სისტემა, გაკატრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების, ტრესტების გადარჩენა; 45. ვინც, რაც ზრდის პროცესშია, ზრდადაუსრულებელია.

შპაულაძე: 1. „გოგიაზე ჯანიანი დედაკაცი“, რომელმაც მაინც ვერ გამოათრია ქვევრიდან აბესალომი; 2. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 3. სოფელი ალაზნის ვაკეზე; 5. უარყოფითი პასუხი თხოვნაზე, წინადადებაზე; 6. ციგურებით ფიგურული სრიალის უკიდურესად რთული ფიგურის, ე.წ. „კაუჭის“ შესრულება (სპორტული ილეთი); 7. სათამაშო კოჭის ზედა, ოდნავ ამოღობებული მხარე; 12. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 14. ხალისის მიმცემი რამ; 15. საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის ყველაზე საყვარელი სიტყვა; 17. წყლის პირას ამოსული ხავისებრი ბაღახი (ღვინუხურად); 18. პოლკზე დიდი, დივიზიაზე მცირე; 19. მღვდლის სამოსი; 21. ცნობილი იტალიელი საესტრადო მომღერალი ქალი; 22. სარწმუნოების ჭეშმარიტების შინაგანი რწმენა ისლამური რელიგიის მიხედვით; 24. სპორტშეხვედრის შედეგი; 26. ჩენჩეთის ყოფილი „პირველი ლედი“; 29. აზრი, ჩანაფიქრი; 31. ვინც ყველას დაუმორჩილებლობას უცხადებს; 33. პომეროსის პოემა; 35. არეგდარევა, აღნაქითი; 36. სწუხს „სხვისა კეთილსა ზედა“, ესე იგი... 37. ნადები საკვამლეების შიგნით; 38. მძიმე სენი - ნაწლავების გადანასკვა (ძველქართული სიტყვა); 40. ხალიჩა.

### ვინა ნომერში გამომქვეყნებული პროსკორლის პასუხები

თარაზულაძე: 3. აპოთემა; 5. უინდორი; 7. გვალვა; 9. ატომი; 10. ლუზა; 11. თვინიერი; 12. ბომონდი; 13. კროსი; 14. პარკი; 16. ბარგი; 19. იორდანე; 22. სახედარი; 23. დუმა; 24. დოგმა; 25. ლეჟავა; 26. რევიზია; 27. ინტრიგა.

შპაულაძე: 1. ბორჯომელა; 2. ბაჯალლო; 3. ავიაცია; 4. აგარები; 5. უნივერსიდა; 6. ძალისი; 7. გიდი; 8. დავითგარეჯა; 15. კატეგორია; 16. ბრედლი; 17. პეიზაჟი; 18. ასტარტა; 20. დვალეთი; 21. სადა.

მთავარი რედაქტორის მოადგილე

**გელა ებანოძე**

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპჩინის ძ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები: რედაქტორი: 93-20-36, რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444